



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 23
02/03/2016

23-06-4-201603021938



განკარგულება №23

2016 წელი, 2 მარტი
ქ. ოზურგეთი

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მიღებული თანხის განაწილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს მთავრობის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 2016 წლის 4 თებერვლის №54 დადგენილებას თანდართული სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მე-2 მუხლის მე-6, მე-8 პუნქტების, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების“ 3¹ მუხლის მე-2 პუნქტისა და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულების საფუძველზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მიღებული თანხიდან 1 404 547 (ერთი მილიონ ოთხასოთხი ათას ხუთასორმოცდაშვიდი) ლარიდან, 1 342 237 (ერთი მილიონ სამასორმოცდაორი ათას ორასოცდაჩვიდმეტი) ლარი განაწილდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების (დასახლებების) მიხედვით, თანახმად დანართისა.

მუხლი 2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მიღებული თანხიდან 1 404 547 (ერთი მილიონ ოთხასოთხი ათას ხუთასორმოცდაშვიდი) ლარიდან, 62 310 (სამოცდაორი ათას სამასათი) ლარი გამოიყენოს საქართველოს მთავრობის „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ 2016

წლის 4 თებერვლის №175 დადგენილების №13 დანართით გათვალისწინებული პროექტების თანადაფინანსებისათვის.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო